პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 5 (141) | შაბათი, 25 თებერვალი, 1956 წ. გამოცემის მეხუთე წელი | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

(მიღებულია ერთხმად 1956 წლის 20 თებერვალს)

მოისმინა და განიხილა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა ადგენს:

მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა.

XX ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას კომისია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუციის გაშლილი პროექტის მოსამზადებლად შემდეგი შემადგენლობით:

ნ. ს. ხრუშჩოვი (თავმჯდომარე)
ა. ბ. არისტოვი
ს. ბაბაევი
ნ. ი. ბელიაევი
ი. პ. ბოიცოვი
ლ. ი. ბრეჟნევი
ნ. ა. ბულგანინი
კ. ე. ვოროშილოვი
ბ. გაფუროვი
ა. დ. დანიალოვი
ზ. ა. დენისოვი
პ. ი. დორონინი
ი. კ. ჟეგალინი
გ. კ. ჟუკოვი
ნ. გ. იგნატოვი
ს. დ. იგნატიევი
ლ. მ. კაგანოვიჩი
ი. ე. კალნბერზინი
ნ. ტ. კალჩენკო
ი. ვ. კაპიტონოვი
ა. პ. კირილენკო
ა. ი. კირიჩენკო
ნ. ვ. კისელიოვი
ფ. რ. კოზლოვი
ი. გ. კებინი
ო. ვ. კუუსინენი
ა. ნ. ლარიონოვი
გ. მ. მალენკოვი
ვ. პ. მჟავანაძე
ა. ი. მიქოიანი
ნ. ა. მიხაილოვი
ვ. მ. მოლოტოვი
ზ. ი. მურატოვი
ი. დ. მუსტაფაევი
ნ. ა. მუხიტდინოვი
ნ. ნ. ორგანოვი
ნ. ს. პატოლიჩევი
მ. გ. პერვუხინი
პ. კ. პონომარენკო
პ. ნ. პოსპელოვი
კ. გ. პისინი
ი. რ. რაზაკოვი
მ. ზ. საბუროვი
ზ. ტ. სერდიუკი
ა. ი. სნეჩკუსი
ა. ი. სტრუევი
მ. მ. სუსლოვი (კრასნოდარი)
მ. ა. სუსლოვი
ფ. ე. ტიტოვი
ს. ა. თოვმასიანი
ე. ა. ფურცევა
ნ. მ. შვერნიკი
ა. ნ. შელეპინი
დ. ტ. შეპილოვი
ა. მ. შკოლნიკოვი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის გამო

(მიღებულია ერთხმად 1956 წლის 20 თებერვალს)

დამტკიცდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

მთელი ენერგიით ვიმუშავებთ

ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, მუშა-მოსამსახურეთა და სტუდენტთა მთლიანი კოლექტივი ახალი შრომითი და აკადემიური წარმატებებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. იგი გულმხურვალედ იწონებს პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ლენინურ პოლიტიკას, რომელიც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის სისტემატური ამაღლებისაკენ არის მიმართული.

17 თებერვალს ჩვენი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა პროფესორ-მასწავლებელთა, მუშა-მოსამსახურეთა და სტუდენტთა ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი. მიტინგი გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ვ. ჯაპარიძემ.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ჯორბენაძე, პროფ. კ. კეკელიძე, პროფ. ა. ხარაძე, დოც. დ. გვრიტიშვილი და სტუდენტი ა. სანებლიძე, რომლებმაც ჩვენი უნივერსიტეტის მთლიანი კოლექტივის სახელით, აღნიშნეს, რომ მთელ თავიანთ შრომას იქითკენ წარმართავენ, რომ სამშობლოს აღუზარდონ თავისი საქმის მცოდნე, შრომისმოყვარე, ღრმად მომზადებული სპეციალისტები.

მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივი ენერგიას დაუზოგავად იბრძოლებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად გატარებისათვის, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებისათვის.

ეცნობიან ყრილობის მასალებს

ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მუშა-მოსამსახურეები და სტუდენტები ღრმა ინტერესით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებს.

აგიტატორებმა ყრილობის გახსნის პირველი დღიდანვე ეწყო გააჩაღეს მუშაობა ამ მიმართულებით.

ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად, ჩვენი უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი ახალი შრომითი ენერგიით ირაზმება მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელიც მიგვიძღვის წინ, კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

დიადი თარიღები

ამ წელს გავიდა 35 წელი მას შემდეგ, რაც საქართველოში სამუდამოდ აფრიალდა ძლევამოსილი წითელი დროშა. ქართველმა ხალხმა მოძმე ხალხთა და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის დახმარებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიშორა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მძიმე უღელი და მტკიცედ დაადგა სამეურნეო და კულტურული აღმავლობის გზას, ხალხთა ბედნიერების გზას, რომელიც გაშუქებულია კაცობრიობის უდიდესი გენიოსების მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის დიადი მოძღვრებით, მათი უკვდავი იდეებით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან განვლილი წლების მანძილზე საქართველო ცარისტული რუსეთის განაპირა, ჩამორჩენილი პროვინციიდან გადაიქცა მძლავრ და აყვავებულ, ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად, რომელსაც საპატიო ადგილი უკავია სხვა მოძმე რესპუბლიკებს შორის. საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ერთიან ოჯახში ქართველმა ხალხმა მოიპოვა სრული ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა, აყვავდა და სოციალისტურად გარდაიქმნა საქართველოს მრეწველობა, შეიქმნა ინდუსტრიის მთელი რიგი ახალი დარგები, განუხრელად მიდის წინ კოლექტიურ საფუძვლებზე გარდაქმნილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, რომლის მრავალი დარგი ახლად შეიქმნა და უმაგალითოდ განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, გაიფურჩქნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურა, გაიზარდა ინტელიგენციის ძლიერი ეროვნული კადრები.

როგორც ცნობილია, ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში არ ყოფილა არცერთი უმაღლესი სასწავლებელი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკა დაიფარა უმაღლესი სასწავლებლებითა და ტექნიკუმებით, მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებით. ჩვენი უნივერსიტეტი, რომლის ბიუჯეტი ყოველწლიურად რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს შეადგენს, იქცა ჩვენი რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს სასწავლო და სამეცნიერო კერად. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე 1941 წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც ხულ მოკლე ხანში მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს მეცნიერული კვლევის სხვადასხვა დარგში. ამჟამად ბევრი ქართველი მეცნიერის სახელი ცნობილია არა მარტო მთელს ჩვენს დიდ კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ხნის მთლიანად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა, ხოლო უმაღლესი განათლების შეუქრდებით მაჩვენებლების მიხედვით საქართველომ დიდი ხნის გაუსწრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავს ემთხვევა აგრეთვე ჩვენი დიდი საბჭოთა არმიის დღესასწაული — XXXVIII წლისთავი საბჭოთა არმიისა, რომელიც მტკიცედ და განუხრელად დგას ჩვენი ქვეყნის უდიდეს მონაპოვართა დასაცავად მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასაცავად.

საბჭოთა არმიისათვის უცხოა ყოველგვარი აგრესიული განზრახვები, სხვისი ტერიტორიის ხელყოფის ცდები. საბჭოთა ხალხი მტკიცედ უჭერს მხარს ყოველი ქვეყნის ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს. მაგრამ ამასთანავე საბჭოთა არმია განუხრელად ამაღლებს და სრულყოფს თავის საბრძოლო თვისებებს და მუდამ მზად არის დაიცვას ჩვენი ხალხის უდიდესი მონაპოვრები.

ქართველი ხალხი მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად ამ დიად თარიღებს აღნიშნავს იმ ისტორიულ ვითარებაში, როცა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა. ყრილობა განიხილავს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტს, რომელშიაც გრანდიოზული ამოცანებია დასახული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარებისა. აღნიშნულ გეგმაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ჩვენს რესპუბლიკასაც. ახალი მძლავრი ელსადგურების მშენებლობა, გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგის დამთავრება, გროზნო-თბილისის გაზსადენის აგება და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც დასახულია მეექვსე ხუთწლედისათვის, კიდევ უფრო აუყვავებულსა და მშვენიერს გახდიან საბჭოთა საქართველოს.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, VI ხუთწლედის გრანდიოზული გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ქართველი ხალხი მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

სურათზე: ასისტენტი ლ. მესხელი ჩვენი უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის თანამშრომლებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებს.

ჰაინრიხ ჰაინე

გარდაცვალების 100 წლისთავი

ჰაინრიხ ჰაინეს შემოქმედებითი ნიჭი ადრევე გამოჩნდა. იგი ათი წლისა იყო, როცა მეორე მცდელობის ფანტასტიკური მოთხრობა დაწერა, ხოლო თორმეტი წლისამ მშობლების ქორწინების დღის აღსანიშნავად მიძღვნილი პოეტური სტრიქონები შექმნა. თექვსმეტი წლის ასაკიდან იგი მთელი არსებით გაიტაცა პოეზიამ. იგი საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა დიუსელდორფის (აქ დაიბადა პოეტი 1797 წელს) ფრანცისკანელთა მონასტრის სკოლაში, ხოლო შემდეგ გიმნაზიაში.

ჰაინე იზრდებოდა რაინის პროვინციაში, ქ. დიუსელდორფში, ღარიბი ვაჭრის ოჯახში. მამამისი — სამხრეთ ჰაინრიხის კომერსანტულ კარიერაზე ოცნებობდა, ამიტომ როგორც კი ჰაინრიხმა გიმნაზია დაამთავრა, იგი მამამისმა თავის ძმასთან, მდიდარ ბანკირ სოლომონ ჰაინესთან გაგზავნა ჰამბურგში. აქ ჰაინემ ახლო გაიცნო ფინანსური კაპიტალის მოხელეთა ცხოვრება და აშკარად იგრძნო ის უფსკრული, რომელიც მას გაბატონებული საზოგადოებისაგან აშორებდა. ამხანაგებისადმი გაგზავნილი წერილებიდან, აგრეთვე ზოგიერთი ადრეული ლექსიდან მოისმის უკმაყოფილო ხმა ახალგაზრდა პოეტისა, რომელსაც სული ეხუთება ბანკირთა სალონებში, თუმცა ვერც სცილდება მათ მატერიალური ხელმოკლეობის გამო. ამას დაემატა განცდები უიღბლო სიყვარულისა ჯერ ამალია, ხოლო შემდეგ ტერეზა ჰაინესადმი. ამგვარი განწყობილებებითაა დაწერილი ჰაინეს ადრეული ლექსები, რომლებიც „სიმღერათა წიგნში" (1827) შევიდა.

20-იანი წლების მეორე ნახევარში ჰაინე მოგზაურობს თავის მშობლიურ მხარეებში, ეცნობა გერმანიის ქალაქებს. ამავე პერიოდში იგი პირველად იყო საფრანგეთში, ეწვია იტალიასა და ინგლისს. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ჰაინეს გადმოცემული აქვს თავის პოეტურ ციკლში „მოგზაურობის სურათები" და „ინგლისური ფრაგმენტები".

„მოგზაურობის სურათები" პოეტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშია. მიუხედავად ცალკეული სუბიექტივისტურ-რომანტიკული გადახვევებისა, მთელი ნაწარმოების იდეურ შინაარსს განსაზღვრავს პოეტის სოციალური პროტესტი მაშინდელი გერმანიის ბურჟუაზიულ-ფილისტერული და არისტოკრატიული საზოგადოების მიმართ.

მაშინდელი გერმანიის ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულმა საზოგადოებამ ადრევე შეიცნო „სიმღერათა წიგნისა" და „მოგზაურობის სურათების" ავტორი. მას ყოველმხრივ ავიწროებდნენ და სდევნიდნენ. ამიტომ ივლისის რევოლუციის შემდეგ, 1831 წელს, ჰაინე საფრანგეთში გადადის საცხოვრებლად.

30-იანი წლების ბოლოს მწვავე ხასიათი მიიღო ჰაინეს პოლემიკამ ზოგიერთ წვრილ-ბურჟუაზიულ თეორეტიკოსთან, რომლებიც „პოლიტიკურობისა" და „ტენდენციურობის" ყალბი მოთხოვნით უარყოფდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების შემეცნებით ღირებულებას. ამ პოლემიკას მიუძღვნა ჰაინემ პუბლიცისტური წიგნი „ლუდვიგ ბერნე" (1840). „მემარცხენე" იდეოლოგთა ფილისტერულ შეზღუდულობასა და ფეოდალურ-რეაქციულ დემაგოგიას ებრძვის ჰაინე სატირულ-ალეგორიულ პოემაში — „ატა ტროლი".

1843 წლიდან ჰაინეს ახლო ურთიერთობა აქვს კ. მარქსთან, ხოლო 1846 წლიდან — ფ. ენგელსთანაც. ესაა წლები, როცა ჰაინეს შემოქმედებითმა ნიჭმა თავისი განვითარების

მწვერვალს მიაღწია. ამ პერიოდში ქმნის ჰაინე პოლიტიკური ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს („თანამედროვე ლექსები", 1846), რომლებშიც ნაჩვენებია კლასობრივად გამოფხიზლებული პროლეტარიატის ბრძოლა პოლიტიკური და ეკონომიური უფლებებისათვის. ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტშია დაწერილი ჰაინეს პოლიტიკური პოეზიის შედევრიც — პოემა „გერმანია. ზამთრის ზღაპარი" (1844).

1847 წლიდან ჰაინეს ჯანმრთელობა მკვეთრად შეიცვალა. ნერვული სისტემის საერთო დაავადებამ და მხედველობის თანდათან დაკარგვამ უარყოფითად იმოქმედა პოეტის იდეურ და მხატვრულ განვითარებაზე. ლირიკული წიგნი „რომანცერო", აგრეთვე 1853—56 წლების ლექსები მოწმობენ, რომ ჰაინემ ვერ განავითარა „გერმანიის" იდეური ხაზი; აშკარაა, რომ პოეტი ვერ გაერკვა შექმნილ კლასობრივ ვითარებაში, ვერ ამაღლდა პროლეტარიატის ისტორიული როლის მეცნიერულ გაგებამდე. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის საუკეთესო ლექსებში („1649-1793 ???", „გერმანიაში, საყვარელ მამულში", „60 პროფესორი" და სხვ.) ჰაინე აგრძელებს ბრძოლას პრუსიულ-იუნკრული დესპოტიზმისა და ბურჟუაზიული შეზღუდულობის წინააღმდეგ; პოეტის შემოქმედებაში კვლავ ძლიერია რეალისტური მოტივები, კვლავ მძლავრად გაისმის მებრძოლი სატირიკოსის ხმა.

ჰაინრიხ ჰაინეს უყვარდა თქმა, რომ ის იყო „მამაცი ჯარისკაცი კაცობრიობის თავისუფლებისათვის ბრძოლაში". მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ამ სიტყვების ნათელი დადასტურებაა.

ზ. ჭარხალაშვილი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ბუნების მკვლევრების — გეოგრაფებისა და გეოლოგების სრულფასოვანი მომზადებისათვის

საბჭოთა ხალხის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამშობლოს მრავალფეროვანი და მდიდარი ბუნების საფუძვლიან შესწავლას. ბუნებისმეტყველების სხვა დარგების წარმომადგენლებთან ერთად ამ საპატიო ამოცანის შესრულებისათვის მოწოდებულია გეოგრაფთა და გეოლოგთა მრავალათასიანი არმია, რომლის მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას ჩვენი უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი წარმოადგენს.

ფაკულტეტზე მომუშავე მაღალკვალიფიციური, გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლების დაუღალავი შრომით ჩვენი სტუდენტობა საფუძვლიან თეორიულ მომზადებას იღებს.

შემოქმედებითი მუშაობისათვის, თეორიულ მომზადებასთან ერთად, უდიდესად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა სპეციალისტის შეიარაღებას პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო გამოცდილებებით და ჩვევებით.

ცნობილია, რომ შემოქმედებითი წარმატებების მიღწევის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების მიდრეკილებას, მისწრაფებას მეცნიერების ამა თუ იმ დარგის დაუფლებისადმი. მართალია, ყველას, ვინც კი კარგი გეოგრაფი ან გეოლოგი გამხდარა, უწინარეს ყოვლისა შეუყვარდა ეს პროფესია, ამის სრული გათვალისწინებით, რომ მომავალ გეოგრაფს თუ გეოლოგს თეორიულ ცოდნასთან ერთად აუცილებელია გააჩნდეს ამტანობისა და მამაცობის თვისებები, და ხასიათდებოდეს მეგობრობის გრძნობითა და მტკიცე ორგანიზებულობით.

რით უნდა აიხსნას, თუ არა თავისი პროფესიისადმი დაუინტერესებლობით, 1955 წ. კურსდამთავრებულ ი. ცერცვაძის საქციელი, რომელმაც უარი განაცხადა განაწილებისამებრ გამგზავრებულიყო სამუშაოზე.

სტუდენტთა კონტინგენტის შერჩევა მეტ ყურადღებას მოითხოვს. ამ საკითხის სწორად გადაწყვეტა მომავალში მნიშვნელოვნად განაპირობებს შეგნებულ დისციპლინას და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ზრდას.

სტუდენტთა თეორიულ მომზადებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საველე-საექსპედიციო მუშაობისათვის საჭირო ჩვევების დანერგვას, რომელთა გარეშე სტუდენტის ან ახალგაზრდა სპეციალისტის ველზე გამგზავრება [illegible] ნიშნავს. თუმცა სამარცხვინო მოვლენაა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთმა კურსდამთავრებულმა საველე კარავის გაშლაც კი არ იცის, ვერ ხმარობს საჭირო თავდაცვით იარაღს და ა. შ. ხშირად საველე პრაქტიკა და ექსპედიციები ტარდება მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული რუკების, კომპასების, სიმაღლისმზომისა და ყველა მუშაობისათვის საჭირო სხვა აუცილებელი ხელსაწყოების გარეშე. ყოველივე ეს კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საწარმოო პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტებისათვის, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებლად მუშაობენ ველად. უდავოა, რომ ეს საკითხი დროზე უნდა მოვაგვაროთ.

ბუნების მკვლევრებს ველზე მუშაობისას ხშირად უხდებათ მდინარეების, თოვლითა და ყინულებით დაფარული მწვერვალების, აგრეთვე როგორც სხვა ბუნებრივი დაბრკოლების გადალახვა. იბადება კითხვა: იციან თუ არა ჩვენი სტუდენტები მათი დაძლევის საშუალებანი?! —არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სტუდენტთა უმრავლესობა ისე ამთავრებს უნივერსიტეტს, რომ ზემოხსენებულ დაბრკოლებათა დაძლევის საშუალებებს საფუძვლიანად არ იცნობს. უნივერსიტეტში არსებული მდიდარი გამოცდილების მქონე ალპინიზმისა და ტურიზმის სექციის უფრო მჭიდრო და გეგმიანი მუშაობის პირობებში, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორება არც ისე ძნელი საქმე იქნება.

საველე პრაქტიკისა და საექსპედიციო მუშაობის ჩატარებისას ხშირად ვაწყდებით გეოგრაფი და გეოლოგი სტუდენტებისათვის შეუფერებელი გამოუცდელობისა და სიმხდალის ფაქტებს. ასე მაგალითად, ერთ-ერთმა მეოთხეკურსელმა სტუდენტმა იმის გამო, რომ ცხენზე ჯდომა არ იცოდა და „გაუბედაობა" გამოიჩინა, საველე მუშაობის დროს ამჯობინა გაცილებით მეტი დროისა და დიდი ენერგიის დახარჯვით ათეულ კილომეტრებზე მთებში ფეხით ევლო...

გეოგრაფისა და გეოლოგისათვის ცურვის ცოდნა აუცილებელია. უმისობა ხშირად ხელს უშლის დასახული ამოცანის დროულად და ხარისხობრივად შესრულებას და ზოგჯერ მსხვერპლსაც იწვევს. თითქოს კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთი სტუდენტი ჰიდროლოგიის სპეციალობით ამთავრებს უნივერსიტეტს და ცურვა კი არ იცის. 1955 წლის ივლისის თვეში მდ. გუდაზე (ლატვიის სსრ) ბანაობის დროს კინაღამ დაიღრჩნენ ჩვენი მეოთხეკურსელი სტუდენტები — თ. მოძმანაშვილი და გ. ხანგოშვილი და საქმე უთუოდ მარცხით დამთავრდებოდა, რომ მათ არ მიეშველებოდნენ ცურვის მცოდნე ამხანაგები. ამ უკანასკნელთა საქციელი მისასალმებელია და საერთო მადლობას იმსახურებს, მაგრამ, მეორე მხრით, ეს შემთხვევა რატომღაც არ გამხდარა სტუდენტთა ორგანიზაციების ფართო მსჯელობის საგნად, რათა სათანადო დასკვნები გაეკეთებინათ და მსგავსი შემთხვევების ლიკვიდაციისათვის საჭირო გზები დაესახათ.

ასეთი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენი აზრით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ უნდა გადასინჯოს სპორტული აღზრდის არსებული პროგრამა და მისცეს მას ფაკულტეტის შესაფერისი მიმართულება. საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ფიზკულტურის კათედრა და მისი სექციები რამდენადმე გატაცებული არიან თანრიგოსნებისა და რეკორდსმენების მომზადებით. ეს კარგია, მაგრამ მთავარი — მასობრიობა და პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო სპორტის სახეების დანერგვა — ჯერ კიდევ მივიწყებულია მათ საქმიანობაში.

ბუნების მკვლევარს ველზე მუშაობისას (განსაკუთრებით მთებში) ხშირად თავს ატყდებათ თითქოს მოულოდნელი, მაგრამ მეტად საშიში ბუნებრივი მოვლენები: ნისლი, ელჭექი, ქარბუქი, ზვავები და სხვ. მართალია, ბუნებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩვენ კიდევ სუსტნი ვართ, მაგრამ მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე საკმაოდ ზუსტად და დროულად ხერხდება მოსალოდნელი საშიშროების წინასწარმეტყველება, რაც საშუალებას იძლევა თავი მოვარიდოთ ბუნების მავნე მოვლენებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არსებულ სასწავლო პროგრამებში ამ საკითხების გაშუქებას სათანადო ყურადღება არ ეთმობა. არაერთი და ორი ახალგაზრდა გეოგრაფი და გეოლოგი გამხდარა მთებში მუშაობისას ბუნების სტიქიის მსხვერპლი. ამიტომ საჭიროა საფუძვლიანად გავაცნოთ სტუდენტებს მთებში უბედური შემთხვევების გამომწვევი მიზეზები და მათგან თავდაცვის საშუალებანი.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც კი კეთდება ჩვენს ქვეყანაში, კეთდება ადამიანის კულტურული და ბედნიერი ცხოვრებისათვის. ამიტომ მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ პრაქტიკული მოღვაწეობისათვის საჭირო ჩვევების დანერგვას ახალგაზრდა სპეციალისტებში.

მიმდინარე წლის ზამთარში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით მოეწყო სათხილამურო ლაშქრობა იმიერ კარპატებში. ლაშქრობის მონაწილეთა უმრავლესობა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ. სასურველია ყოველწლიურად იზრდებოდეს ამგვარი ღონისძიებებისა და მათში მონაწილეთა რაოდენობა.

ბუნებრივი დაბრკოლებების დაძლევისათვის საჭირო ჩვევების დანერგვის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ტურისტული და ალპინისტური ლაშქრობების ჩატარებას. უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ყველა კურსდამთავრებული იყოს ტურისტი და ალპინისტი.

თოვლისა და ყინულების შესწავლას გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებთან საკმაოდ დიდი დრო აქვს დათმობილი, მაგრამ იგი მეტწილად ისწავლება არა ბუნებაში, ბუნებრივ პირობებში, არამედ წიგნებიდან, კაბინეტებში. ჩვენი აზრით კი, საჭიროა პრაქტიკისათვის განკუთვნილი დროის გარკვეული ნაწილი ზამთრის საველე პრაქტიკასაც დაეთმოს.

უმაღლესი განათლების მქონე ყველა ახალგაზრდა უნდა ფლობდეს რადიომიმღებ და გადამცემი აპარატის გამოყენებას, ავტომანქანების მართვას, ნავის წაყვანას და ა. შ. ყველაფერი ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მომავალი გეოგრაფისა და გეოლოგისათვის. ამ ამოცანის გადაწყვეტის საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე „დოსააფის" საუნივერსიტეტო ორგანიზაციამ. დროა ამ ორგანიზაციებისა და განსაკუთრებით „დოსააფის" თაოსნობით გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე შეიქმნას სროლის, რადიოს, ფოტო და ავტოსაქმის შემსწავლელი წრეები, სადაც ამ საქმით დაინტერესებულ სტუდენტებს შეეძლებათ მიიღონ სათანადო ცოდნა და საველე მუშაობისათვის ხშირად საჭირო აუცილებელი ჩვევები.

დოც. ძ. ჯაყელი
დოც. ა. ასლანიკაშვილი

დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები

ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ დოც. პ. გუჯაბიძის რედაქციით გამოსცა „დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები".

წიგნი შედგება შემდეგი თავებისაგან: I. ფილოსოფიის საგანი; II. მატერიალიზმი და იდეალიზმი; III. დიალექტიკა და მეტაფიზიკა; IV. დიალექტიკური მატერიალიზმის წარმოშობა — რევოლუცია ფილოსოფიაში; V. მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონები; VI. მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები; VII. დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორია; VIII. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია — კომუნიზმის თეორიული საფუძველი.

ამათგან, I, II, VI და VII თავები დაწერილია პროფ. კ. ბაქრაძის მიერ, III და V თავები — დოც. ს. წერეთლის მიერ, IV თავი — დოც. პ. გუჯაბიძის მიერ, ხოლო VIII თავი ეკუთვნის ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატებს ლ. ქეზერიას და შ. ლუტიძეს.

თეორიული კონფერენცია

ამასწინათ ქიმიის ფაკულტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად ჩაატარა თეორიული კონფერენცია თემაზე — სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის საკითხები.

კონფერენციაზე მოხსენებები გააკეთეს: პროფ. ა. კახნიაშვილმა — თემაზე — სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლა; ამხ. გ. სუპატაშვილმა— თემაზე — ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის გზები; ამხ. შ. მიქაძემ — თემაზე — გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის გზები.

კონფერენციაზე, რომელიც მაღალ იდეურ დონეზე ჩატარდა, სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. ნ. ციციშვილი, პროფ. მ. ბექაია, დოც. შ. შარაძენიძე, დოც. გ. ციციშვილი და სხვ.

მ. ხუნდაძე,
ქიმიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ყოველი ჩვენთაგანის ღვიძლი საქმეა!

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

საბჭოთა ადამიანების ძვირფას თვისებას წარმოადგენს პატიოსანი შრომისადმი სიყვარული, ურთიერთისადმი გულწრფელი სითბოთი აღსავსე სიყვარული და პატივისცემა, სოციალისტური თანაცხოვრების ნორმების დაცვა, მაღალი კულტურა, მომავლისადმი დაუღალავი მისწრაფება, საზოგადოებრივ ინტერესებთან პირადი ინტერესების ისე შერწყმა, რომ პირადი მე მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების პირმშო იყოს.

ამ ძვირფასი თვისებების ყოველმხრივი განვითარება, მისი ღრმად დანერგვა და ადამიანის შეგნებაში მთელი თავისი სიცხადით შეტანა ერთ-ერთი პირობაა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ამ სერიოზული ამოცანის შესრულება ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორთა, მასწავლებელთა და სტუდენტთა ღირსეული საქმეა. ისინი საბჭოთა ადამიანის ამ ძვირფასი თვისებების გამოვლინებაში პირად მაგალითს უნდა იძლეოდნენ. ეს მათი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობაა.

ბუნებრივია, როცა უნივერსიტეტიდან ქუჩაში გამოსულ ახალგაზრდებს სიამოვნებით შეხარის ჩვენი მოსახლეობა. სიცოცხლით, კულტურით, ზრდილობით და ცოდნით აღსავსე ამ ახალგაზრდობიდან მოელის ხალხი სრულყოფილ მოქალაქეებს, მოღვაწეებსა და შემოქმედებს. მაგრამ, როცა ზოგჯერ საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ ზოგიერთი სტუდენტის ქცევაში, ეს კანონიერ სინანულსა და აღშფოთებას იწვევს.

აი თქვენ უყურებთ ე. წ. „სტილის" მიმდევრებისა და ქცევის სტუდენტს: მხრებამდე ჩამოშვებული, უწესრიგოდ აშლილი თმით, გადიდული მკერდით, მხარზე გადაგდებული ყელსახვევით, პირში ალმაცერად გაჩრილი პაპიროსით... მიყრდნობილა ხან ხეზე ან ბოძზე და ელოდება რაღაცას, ელოდება ან არავის და არაფერს. დგას და გართულია რაღაც უაზრო ფიქრებით. ხშირად ასეთი ახალგაზრდისაგან გაიგონებთ უხამს სიტყვებს, მისი საქციელი უღირსია და ამორალური. მერე და ვინ მოუთითებს მას! ვინ გამოიყვანს ამ ბურუსიდან, ან ვინ დააყენებს სწორ გზაზე?!—აი სწორედ აქ უნდა იჩინოს თავი ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის მძლავრი კოლექტივის წმინდათაწმინდა მოვალეობამ. ამოცანა იმაშია, რომ შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი ასეთი ახალგაზრდების მიმართ და აღვზარდოთ ისინი ღირსეულ მოქალაქეებად.

უდიდესი ღირსების საქმედ უნდა მივიჩნიოთ ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

ცნობილია, რომ თბილისი, როგორც ერთ-ერთი ისტორიული ქალაქი, თავისი შესანიშნავი კულტურითა და ისტორიული ძეგლებით იზიდავს დიდძალ სტუმარს. ისინი სიამოვნებით აღსავსენი, წარუშლელი შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან უკან.

ჩვენი ქალაქის ამ ისტორიულ, შემოქმედებით აღსავსე, შინაარსიან ცხოვრებასთან ერთად, უსათუოდ საჭიროა ვაჩვენოთ ქართული სტუმართმოყვარეობის ნიმუში, კაცთმოყვარეობითა და ზრდილობით აღსავსე საზოგადოებრივი წესრიგი, ქალაქის ყოველი მცხოვრების მაღალი მორალურ-კულტურული სახე.

აქაც, ამ სერიოზულ უბანზე, თავი უნდა გამოიჩინოს ჩვენმა სტუდენტობამ და კერძოდ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობამ, რომელსაც საამისოდ შესანიშნავი ტრადიცია გააჩნია.

ღირსეულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს უნივერსიტეტის მრავალათასიანმა კოლექტივმა. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ამ სახელოვანად დაწყებულ საქმეს იგი სასახელოდ დაასრულებს.

ძ. მიქაბაძე,
მილიციის მაიორი.

თბილისი. რუსთაველის გამზირი

პატივი ვსცეთ სოციალისტური თანაცხოვრების წესებს

კოლექტივიზმი, ამხანაგობა და მეგობრობა განსაზღვრავს სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობას. საბჭოთა ადამიანების უწმინდეს მოვალეობათა შორის სსრ კავშირის კონსტიტუციით აღიარებულია სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემა. პატივი სცე საერთო ცხოვრების წესებს—ეს ნიშნავს შეგნებულად დაიცვა კომუნისტური მორალის პრინციპებზე დაფუძნებული ადამიანთა თანაცხოვრების მოთხოვნები.

ადამიანთა ყოფა-ცხოვრება არ არის მხოლოდ მისი კერძო საქმე. არ შეიძლება საბჭოთა ადამიანს ორი სახე ჰქონდეს—ერთი სამუშაოზე, სასწავლებელში, მეორე—საზოგადოებრივ ადგილებში. ყველგან შრომასა და სწავლაში, დასვენებასა და გართობაში უნდა ჩანდეს მაღალი მორალური პრინციპები, საზოგადოებრივი შეგნების მატარებელი მოქალაქე. ჩვენს საზოგადოებაში მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობა შეგნებულად ასრულებენ და პატივს სცემენ საერთო ცხოვრების წესებს. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა ცალკეულ მოქალაქეთა მხრივ ბურჟუაზიული მორალის გადმონაშთების გამოვლინების შედეგად ირღვევა თანაცხოვრების ელემენტარული წესები.

საერთო ცხოვრების წესების ყველაზე საშიში დარღვევაა ხულიგნობა, საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობა და უხამსი დამოკიდებულება. საბჭოთა კანონი მკაცრად სჯის ხულიგანს, დიდია ამ საქმეში მილიციისა და სასამართლო ორგანოების როლი, მაგრამ არ არის ხულიგანზე, საერთო ცხოვრების წესების დამრღვევზე ზემოქმედების იმაზე უფრო დიდი და ქმედითი ძალა, ვიდრე საზოგადოებრივი ზემოქმედება.

საზოგადოებრივი გაკიცხვის ატმოსფეროს შექმნას ხულიგნის, ლოთისა და სხვა სახის ამორალური ქცევის პირთა მიმართ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ტროლეიბუსის გაჩერებასთან ანდა კინოთეატრის სალაროსთან რიგის დარღვევა საზოგადოებისადმი უპატივცემლობის შედეგია და მათ ადგილი არასდროს არ ექნება, თუ თვითეული მოქალაქე გულგრილად არ შეხედავს ამ ფაქტს. სიტყვამრუდობა ძველი ყოფის ერთ-ერთი საზიზღარი ნაშთია. ჩვენს თანაცხოვრებაში მოუთმენელი უნდა გახდეს ხულიგნური და ფეშენებელური, თავხედური ცხოვრების ყოველგვარი ჟარგონი.

ყველგან და ყველა ეზოებში ებრძოლო თანაცხოვრების წესების დამრღვევს—ეს ნიშნავს დაეხმარო მილიციისა და სასამართლოს ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში, ეს არის თვითეული მოწინავე საბჭოთა მოქალაქის სასახელო საქმე, მისი ვალდებულება საკუთარი სინდისის წინაშე, საზოგადოების, სახელმწიფოს წინაშე.

უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტებისა და მასწავლებელთა გადაწყვეტილებას—ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას ჩვენი საყვარელი დედაქალაქის უმშვენიერეს ქუჩაზე — რუსთაველის პროსპექტზე—უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი კოლექტივის ამ ინიციატივას უსათუოდ ფართოდ გამოეხმაურებიან და დაუჭერენ მხარს თბილისის სხვა უმაღლესი სასწავლებლები და წარმოება-დაწესებულებანი. მთავარია მხოლოდ, რომ ჩვენ ეს ღონისძიება ორგანიზებულად ჩავატაროთ.

ჩვენი უნივერსიტეტის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, დეკანატები მთელი მობილიზებულობით უნდა მიეხმარონ ამ ღონისძიების ჩატარებას. მხოლოდ და მხოლოდ კარგ ორგანიზაციას, ამ ღონისძიებაში მონაწილე მასწავლებელთა და სტუდენტთა თავაზიანობას, პრინციპულობასა და გულწრფელობას შეუძლია საქმის წარმატებით დამთავრება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის ლექტორთა ხაზმა ამ საქმეში უფრო მკვეთრად უნდა გაუსვას ხაზი ამ ღონისძიების დიდ მნიშვნელობას. საბჭოთა მეცნიერი მუშაკი საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი პირი როდია, იგი ნამდვილი საზოგადოებრივი მოღვაწეა. სწორედ ამიტომ მათი მონაწილეობა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში გაგებულ უნდა იქნეს, როგორც აღზრდის, სწავლების ორგანული ნაწილი.

ჩვენი სტუდენტობის დიდი უმრავლესობა—ეს შეგნებული და მოწინავე ახალგაზრდობაა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მათ კარგად ესმით ამ ღონისძიების მთელი მნიშვნელობა.

რუსთაველის პროსპექტზე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების დაწყების საპატიო მოვალეობა ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა კოლექტივს ხვდა წილად. სრული იმედია, რომ უნივერსიტეტის ეს უმსხვილესი ფაკულტეტი, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და დეკანატის ხელმძღვანელობით კარგ ტრადიციას დანერგავს დედაქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში.

ჩვენი მოვალეობაა ორგანიზებულად, საქმიანად, ყოველგვარი პარადულობისა და ფორმალიზმის გარეშე ჩავატაროთ ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება, მაგალითი ვუჩვენოთ დედაქალაქის მშრომელებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში.

ს. ჯორბენაძე,
უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

პირველი გასვლა გვავალებს

უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის კოლექტივი მთელი პასუხისმგებლობითა და სერიოზულობით შეხვდა ამ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, რომლებიც ტარდება ქალაქში სისუფთავის, დისციპლინისა და მოძრაობის წესების დასაცავად.

ფაკულტეტიდან გამოყოფილი მორიგეები დიდი მონდომებით ადევნებენ თვალყურს წესრიგსა და სისუფთავეს, არ ტოვებენ ყურადღების გარეშე მათი დარღვევის არცერთ ფაქტს.

განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს თავიანთი მორიგეობა ფიზიკის ფაკულტეტის ლაბორანტებმა ლ. [illegible] და ვ. [illegible].

ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტობა და თანამშრომლები, 300 კაცის რაოდენობით, პირველად გავიდნენ რუსთაველის პროსპექტზე სამორიგეოდ 25 და 26 თებერვალს — საღამოს 7-დან 10 საათამდე. ეს კი გვავალებს, ერთი მხრით, ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულებით კარგი მაგალითი მივცეთ სხვა ფაკულტეტების სტუდენტობასა და თანამშრომლებს, ხოლო, მეორე მხრით, პირადი ქცევით ზრდილობისა და თავაზიანობის ნიმუში ვუჩვენოთ პროსპექტზე მყოფ მოქალაქეებს.

დ. ჯიქია,
ფიზიკის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი.

ფელეტონის მაგიერ

მოგუნდავე „რაინდი"

ზამთრის თეთრ საბანში გახვეული ქალაქი მოხდენილი სილამაზით გამოიყურებოდა ამა წლის 22 თებერვალს. თოვლის ფანტელები დინჯად ეშვებოდა ძირს და ნაძვის ხეები მოწონებით უხაროდნენ თავს მის მობრძანებას.

ბუნებრივია, ნანატრი თოვლის მოსვლა თავისებურ მხიარულებას იწვევდა თბილისელებში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, რომლებიც თოვლის გუნდებით „ესალმებოდნენ" ერთმანეთს..

მართლაც, კარგია გუნდაობა, თუ იგი გართობაა და არა კრივი, თუ გუნდი გაშლილ ფიფქებად ხვდება მიზანს და არა ქვასავით, თუ გუნდაობა ამხანაგებში იმართება და არ წარმოადგენს იგი უცნობებზე თავდასხმას, მათს შეურაცხყოფას. მაგრამ ყველა ახალგაზრდას როდი ესმის ეს. ასეთი ახალგაზრდებიც „ესალმებიან" თოვლის გუნდით (უკეთ „ქვით"), მაგრამ არა მეგობრებს, არამედ უცნობებს, ქალიშვილებს... მათი საქციელი ყოველგვარ საზღვარს აჭარბებს!

ასე მოხდა იმ დღესაც. აქა-იქ, ქუჩებში, სიცილის ნაცვლად ტირილის ხმა გაისმა. ახალგაზრდებს, განსაკუთრებით კი ქალიშვილებს წყლით გაჟღენთილი და რკინასავით შეკრული თოვლის გუნდები ხვდებოდათ ბეჭებში, თავზე და სახეშიაც კი...

აი, რუსთაველის პროსპექტზე დამდგარან „დარდიმანდი" ახალგაზრდები, რომლებსაც ხელში უკავიათ წყლით გაჟღენთილი, კილოგრამიანი თოვლის გუნდები. ეს გუნდები სეტყვასავით ცვივა მოქალაქეების თავზე და ვაი მას, ვისაც მოხვდება...

ამ ჯგუფს „ომახიანად" გამოეყო ერთ-ერთი ახალგაზრდა... ეს, სამწუხაროდ, ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, კომკავშირელი ბახვა შაიშმელაშვილია.

— ყოჩაღ, პროსპექტის ბახვა!, — შესძახეს „ძმაკაცებმა", როცა მისი ხელიდან შურდულივით გაიზუზუნა უზარმაზარმა თოვლის გუნდამ, რომელიც ისე მძლავრად მოხვდა „მსხვერპლს", რომ ამ უკანასკნელს სულთქმა შეეკრა...

—„ყოჩაღ, ბახვა!" — ამ სიტყვებზე კიდევ უფრო მედიდური თავმოწონებით გაიჯგიმა ჩვენი „რაინდი", ახალი „საგმირო საქმისათვის" მზადებას შეუდგა, მაგრამ როდიღა დასცალდა...

ბახვას მისი ომახიანი ხმა ერთბაშად ჩაუწყდა და წელში გამართული ვაჟკაცი ნალვერდალში ჩავარდნილი ფოთოლივით მოიხრუკა, როცა მილიციის განყოფილებაში წარადგინეს... იქ მან, რა თქმა უნდა, ბოდიში მოიხადა, მოინანია დანაშაულიც, მაგრამ საკითხავია—გულწრფელად მოინანია თუ არა.

ყოველ შემთხვევაში ბახვას და მის მსგავს ახალგაზრდებს რომლებიც ჩვენს რიგებშიც არიან, ერთხელ კიდევ მოვაგონებთ, რომ ისინი თავიანთი უმსგავსი ქუჩური საქციელით ჩირქს ცხებენ ჩვენს უნივერსიტეტს, კომკავშირს, სტუდენტის საპატიო სახელს.

მნახველი

ლექცია-მოხსენებები

ზამთრის არდადეგების პერიოდში ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა კომკავშირის კომიტეტის საგზურით რესპუბლიკის რაიონებში — სკოლებში, მტს-ებსა და კოლმეურნეობებში წაიკითხეს ლექცია-მოხსენებები მრავალ საინტერესო და სადღეისო საკითხზე—კომკავშირის კომიტეტის მიერ შერჩეული თემატიკით. ამ თემატიკაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სოფლის მეურნეობის, ლიტერატურისა და ხელოვნების, კომკავშირული ცხოვრების საკითხებს, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიზნით.

ქალაქში დარჩენილი სტუდენტები ლექციებს კითხულობდნენ თბილისის დიდ საწარმოებში, სკოლებსა და დაწესებულებებში.

კომკავშირის კომიტეტში მოსული პირველი პასუხებიდან ჩანს, რომ სტუდენტებს პირნათლად შეუსრულებიათ მიცემული დავალება. მათ მიერ ჩატარებული ლექციების უმეტესობა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე იყო მომზადებული და ინტერესით იქნა მოსმენილი მსმენელთა მიერ.

ჩოხატაურის რაიონის კომკავშირის რაიკომის პასუხიდან ჩანს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა რ. გურგენიძემ კარგი ლექცია წაიკითხა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" შესახებ. ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტი ჯ. გურგენიძე, რომელმაც ამავე რაიონის რამდენიმე სკოლაში წაიკითხა ლექცია თემაზე — „თ. დრაიზერის შემოქმედება", კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა სიგელით დააჯილდოვა.

ლანჩხუთის რაიონში კარგი მოხსენებებით გამოვიდა აგრეთვე ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი მ. ცინცაძე.

რაიონებში კარგი ლექცია-მოხსენებები ჩაატარეს აგრეთვე სტუდენტებმა: ე. ნინუამ, ა. სოფრომაძემ, ჯ. შუბლაძემ, ვ. გოგოლაშვილმა და სხვ.

ბ. მამალაძე

ქიმიის ფაკულტეტის IV კურსი

ქიმიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებმა წარმატებით დაამთავრეს ზამთრის სესიები. ამ სესიებზე კურსმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მონდომებული და თავდადებული შრომით მათ ბევრის გაკეთება შეუძლიათ... 48 სტუდენტიდან 13 ფრიადოსანია, 32 კარგოსანი და 3 საშუალოსანი.

ხალისიანი და ნაყოფიერი შრომის შემდეგ სტუდენტები გამოეთხოვნენ ერთმანეთს და გაეშურნენ დასასვენებლად. ზოგი მშობლიურ სოფელში გაემგზავრა, ზოგი ბაკურიანის თოვლიან მთებზე ატარებდა არდადეგებს.

დაბრუნდნენ ისინი არდადეგებიდან და ახალი ენერგიით შეუდგნენ მათ მიერ არჩეული სპეციალობის დაუფლებას. ამ სემესტრში ისინი გაივლიან საინტერესო სპეციალურ დისციპლინებს და ჩაატარებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს.

ახალი ენერგიით, ახალი სურვილებით აღფრთოვანებული ახალგაზრდები ისმენენ ლექციებს და ცდილობენ კიდევ უფრო განამტკიცონ თავიანთი წარმატებები სწავლაში.

ზ. ცინცაძე

სტუდენტთა სამეცნიერო შრომები, ტ. 7

გამოვიდა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. 7; მასში შესულია სტუდენტთა მე-14, მე-15 და მე-16 სამეცნიერო კონფერენციებზე გატანილი და დასაბეჭდად რეკომენდებული 31 საუკეთესო შრომა მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ეკონომიკის, ისტორიის, ფილოლოგიისა და მეცნიერების სხვა დარგებიდან, სახელდობრ: თ. ებანოიძე—სასაზღვრო ამოცანებში ლაპლასის გარდაქმნის ზოგიერთი გამოყენების შესახებ; გ. ნიკობაძე — ნახევარსპინიანი ელემენტარული ნაწილაკების უნივერსალური ურთიერთქმედების შესახებ; გ. ვაჩიბერიძე — კომბინირებული ვაკუუმმეტრი; რ. მიქელაძე — ფიჭვისა და მუხის მიკორიძების შესწავლისათვის; რ. ანთაძე — სოფ. მოწამეთისა (ქუთაისის რაიონი) და სოფ. ორპირის (ტყიბულის რაიონი) მიდამოების ძარღვის ქანების პეტროგრაფია; რ. მაყაშვილი — მდ. ყუბანის სათავეების პეტროგრაფია; რ. ლამბაშიძე — სიონის (ყაზბეგის რაიონი) სერის აგებულება და გენეზისი; გ. ქაჯაია — ტკიპ-ბრტყელტანას (Pseudoleptidae) ახალი სახეობა; ი. ქადარია — მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მომსახურება და მათი ნატურანაზღაურება ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებში; გ. პაიჭაძე — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიული ფესვები; ო. ლორთქიფანიძე — ხალდიის თემი; ალ. გვახარია — „სიბრძნე-სიცრუის" ერთი არაკის შესახებ; ა. ძენთეშაშვილი—ბულათურქის ლაშქრობა საქართველოში; ლ. ძოწენიძე—მოთხრობა დინარას შესახებ; თ. კეშელავა — დემოკრატიული მიმდინარეობა თანამედროვე სპარსულ პოეზიაში; ბ. კიკვიძე — ენის განვითარების შინაგანი კანონების რაობისათვის; ი. ბოგომოლოვი—ზოგიერთი იდიომის შესახებ ი. კრილოვის იგავ-არაკებში; თ. ძღენტი — ქარგონული გამოთქმები როგორც პერსონაჟთა დახასიათების საშუალება; გ. თოფურია — რ- თავსართიანი ზმნები ქართულში; ბ. გიგინეიშვილი — მასდარი ძველ ქართულში; ც. ქურციკიძე—ადიშის ოთხთავის ლექსიკის ერთი მხარე; ალ. ჭინჭარაული—მასალა პერეულის ლექსიკისათვის ხევსურულში; ც. აბულაძე — ქვემოიმერულის თავისებურებანი სოფ. როკითის მეტყველების მიხედვით; ლ. მარგველანი — უშგულურის ფონეტიკური თავისებურებანი; ნ. გოგუაძე — კახურის თავისებურებანი; ა. თაყაიშვილი — ქართლურის თავისებურებანი; ნ. აბესაძე —თანდებული სვანურში; ც. კალაძე—სამი სტილის საკითხისათვის ქართულში ი. სტალინის საენათმეცნიერო შრომების სინათლეზე; ნ. კოტინოვა — ე ხმოვნიან სახელთა ბრუნებისათვის სვანურში; თ. ზურაბიშვილი — ემფატიკური -ა ახალ ქართულში.

კრებული, რომლის რედაქტორია დოც. ლ. კიკნაძე, შეიცავს 330 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 10 მანეთი.

ზამთრის არდადეგების პერიოდში ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ მოაწყო სტუდენტთა ზამთარ-სათხილამურო გადასვლა უკრაინის სსრ იმიერკარპატების ოლქში. ჩვენმა მთამსვლელებმა ეს გადასვლა მიუძღვნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. ქვემოთ ვაქვეყნებთ ლაშქრობის მონაწილის— გ. თიკანაძის ჩანაწერებს.

უნივერსიტეტის მთამსვლელთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შევდიოდით პირველთანრიგოსნები: გ. კვაჭაძე (ხელმძღვანელი), ი. ბაქრაძე, ო. და რ. ხაზარაძეები, გ. და ა. აბაშიძეები, შ. მირიანაშვილი, გ. რჩეულიშვილი, გ. ბერძენიშვილი, ზ. მაზუილაძე, გ. ჩიჩუა, ო. ბერიძე, და გ. თიკანაძე, 27 იანვარს გავემგზავრეთ თბილისიდან. მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი—კიევი—ლვოვი—იასინია. სამი დღის მოგზაურობის შემდეგ კიევში ჩავედით. ლვოვის მატარებელი მეორე დღეს გადიოდა, შევეცადეთ ქალაქის დათვალიერებას, მაგრამ 24 გრადუსიანი ყინვა სამხრეთელებს არც ისე გვაწყობდა, ჩვენი მორთულობა: ბათინკები, სათხილამურო შარვლები და ნაქსოვი ქუდები—ქუჩაზე გამვლელთა ყურადღებას იპყრობდა. ვნახეთ ნაშენი მაღალი სახლები, ფართო ქუჩები, მდინარე დნეპრის სანაპიროთი, ჯანსაღი ჰაერი და მზის მკრთალი სხივები ლამაზ ფერებში გვიხატავდა უკრაინის დედაქალაქს. კიევში ჩვენ ვნახეთ ფართო ეკრანიანი კინო, რომელიც კინოტექნიკის მიღწევებით ახალი მიღწევაა და ამჟამად ინერგება პრაქტიკაში.

იმ დღეებში ჩვენი უნივერსიტეტის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები თავიანთ წარმატებებს უზიარებდნენ კიეველ ახალგაზრდობას. ჩვენ საშუალება გვქონდა დავსწრებოდით ერთ-ერთ კონცერტს, რომელიც კიევის მასწავლებელთა სახლში გაიმართა. კონცერტი განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა. მაყურებელთა შორის დიდი მოწონება დაიმსახურა მასიურმა ცეკვამ „მეჯიბრმა". როდესაც ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი—ქორეოგრაფი მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეხუთე ფესტივალის ლაურეატი იასონ ზედამიძე სცენაზე გამოვიდა და რამდენიმე რთული ილეთი ჩვეულებრივ კოსტუმში ჩაცმულმა შეასრულა, აღტაცებულმა მაყურებლებმა იგი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს და მისი ამ წარმატებით ჩვენც დიდად აღფრთოვანებული დავრჩით.

30 იანვარს გავემგზავრეთ ლვოვში, სადაც მეორე დღეს, დილის 5 საათზე ჩავედით. ლვოვის სადგურში, ჩვენს ცხოვრებაში პირველად კუპეური ვაგონის დილის 8 საათზე. მატარებლის განრიგი შეაძლებდე გვათავისუფლებს მგზავრობისაგან. ლვოვი პატარა, მაგრამ ლამაზი ქალაქია, ყოველი ქუჩა ლამაზი არქიტექტურული განლაგების ქვაფენილითაა დაფარული. ქალაქის ცენტრში აღმართულია მხატვრული ოსტატობით შესრულებული ძეგლი ადამ მიცკევიჩისა. ლვოვი მდიდარია პარკებითა და ხეივნებით.

მგზავრობის მეორე დღეს იმიერკარპატებში გაგვითენდა. თოვლს ძრემარე თეთრად შეუმოსავს. აქა-იქ თუ გამოჩნდება ტყეების შავი ზოლი. რამდენიმე წუთი მოვანდომეთ გვირაბის გავლას. შემდეგ კი უკვე იმიერკარპატებში ვიყავით.

11 საათზე ჩავედით იასინიაში. გავნ-



წილდით ტურბაზაში. გეგმის მიხედვით პირველი დღე ადგილმდებარეობის გაცნობას, საჭურვლის მორგებას და დასვენებას მოვახმარეთ.

ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებისას აქ დასახლებული კარპების ტომი დღევანდელი ამიტომაც დარქმევია ამ მხარეს კარპატების მთიანეთი. მანამდე კი ეს ადგილები ცნობილი იყო პეუკინის მხარედ (პეუკების ტომისაგან). შემდეგში ეკრაინელებმა, უნგრელებმა, პოლონელებმა, კარპებმა იმიერკარპატებში შექმნეს მთის მოსახლეობა, რომელსაც გუცულები ჰქვიათ. ისინი ლაპარაკობენ გუცულურ დიალექტზე. მათი ჩაცმულობა, როგორც მთის ყველა ხალხისა, მინაური დაზგაზე დამუშავებული მატყლის ფერადი ქსოვილისაგან მზადდებოდა. განსაკუთრებით ლამაზია მამაკაცის სადღესასწაულო ქურქი, ვერცხლითა და მძივებით მორთული. მეტყევეობასთან დაკავშირებით, მათს ნაციონალურ იარაღს ცული წარმოადგენს.

იმიერკარპატებში დავათვალიერეთ სკოლები, კლუბი და სტრუკის ეკლესია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა იასინის დასახლებას: 1536 წელს გალიციელი ჯუჰარი სტრუკი უნგრეთიდან მორეკავდა ცხვარს. იმიერკარპატებში მან ქარიშხალმა მოუსწრო და იგი იძულებული შეიქმნა ჩქარა გადასულიყო ქედზე, ამიტომ ცხვრის ფარა იქვე დატოვა. მეორე ზაფხულზე სტრუკი დაბრუნდა ცხვრის ტყავის წამოსაღებად წავიდა, მაგრამ მისდა მოულოდნელად ნახა, რომ ცხვარი გადარჩენილიყო და გამრავლებულიყო კიდეც. სტრუკის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მან ეს ღვთიურ სასწაულ-ქმედებას მიაწერა და მადლობის ნიშნად იმ ადგილას ხის სამრეკლო ააგო. ხაშენ მასალად გამოიყენა კოპიტი—რუსულად იასენი და ამის შემდეგ ამ ტაფობს და დაბას იასინია ეწოდება. იგი დიდ მანძილზეა გაჭიმული (სიგრძით—30 კმ.)

აქვე დავათვალიერეთ სახალხო გმირის ოლექსი ბარკანიუკის სახლ-მუზეუმი.

ტურბაზიდან მოჩანს უკრაინის სსრ უმაღლესი მწვერვალი გოვერლა—ჩვენს ენაზე რომ ვთარგმნოთ—„თოვლის მთა" (გოვ უნგრულად—თოვლს ნიშნავს მთლა კი — მთას, გორას). ეს მწვერვალი ზღვის დონიდან 2058 მეტრის სიმაღლეზეა.

ჩვენი მომავალი მარშრუტი სწორედ ამ მწვერვალის დაპყრობას ითვალისწინებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

სურათებზე: 1. გადასვლის მონაწილეთა ჯგუფი. 2. მთამსვლელი სტუდენტები უღოვის ქედზე. 3. ადამ მიცკევიჩის ძეგლი ქ. ლვოვში.

ფოტო გ. თიკანაძისა

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-28-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 0816.